



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 72

04/07/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის 23-ე ქუჩისათვის გენერალ გურამ ქარქაშაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივლისის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. გამოქვეყნდეს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის 23-ე ქუჩის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის 23-ე ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.terjola.ge -ზე და ადგილობრივ პრესაში

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას გამართოს კონსულტაციები მოსახლეობასთან სოფელ ღვანკითის 23-ე ქუჩისათვის გენერალ გურამ ქარქაშაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, შედეგები დააოქმოს და წარმოუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო